Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

პროექტის TOGETHER (**"ერთად") განხორციელება დაიწყო!**
პარტნიორი ორგანიზაციების პირველი ონლაინ შეხვედრა

The "TOGETHER –TOwards a cultural understandinG of thE Other" ("ერთად - სხვათა კულტურათა ურთიერთგაგებისკენ") პროექტის საქმიანობა ოფიციალურად 2020 წლის 19 ნოემბერის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ონლაინ შეხვედრით დაიწყო.

Institute of Entrepreneurship Development LTD (IED) (კვიპროსი) მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე ყველა პარტნიორს ჰქონდა შესაძლებლობა განეხილა პროექტის განხოციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. მათ შორის, დაგეგმილი კვლევის ეფექტურად ჩატარების მექანიზმები, პროექტის ხარისხის უზრუნველყოფისა და ონლაინ ტექნოლოგიის გამოყენების შესაძლებლობები.

TOGETHER არის Erasmus+-ის (ერასმუსის+) მიერ დაფინანსებული ორწლიანი პროექტი, რომელიც შეიქმნა ევროკავშირის წევრ და არაწევრ მეზობელ ქვეყნებს შორის კულტურათაშორისი დიალოგის საშუალებით კავშირების გაღრმავების, საერთო ღირებულების გაზიარების და ერთმანეთის შესახებ ცნობიერების ამაღლების საჭიროებიდან გამომდინარე. იგი მიზნად ისახავს ხალხთა შორის ხიდების აგების მეშვეობით საზოგადოების ყველა სექტორის გაძლიერებას, ურთიერთგაგების გაღრმავებას, ასევე ევროპის და მისი სამეზობლოს ეკონომიკურ და სოციალური განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს მათ ერთად უპასუხონ საერთო გამოწვევებს და მიაღწიონ ერთობასა და მდგრადობის.

პროექტის მონაწილე ორგანიზაციებია: *CulturePolis* - საბერძნეთი, *Institute of Entrepreneurship Development LTD (IED)* -კვიპროსი, *Eworx Ypiresies Ilektronikou Epicheirein Anonymos Etaireia (EWORX)* - საბერძნეთი, *Fattoria Pugliese Diffusa Associazione Culturale (FPD)* - იტალია, *ხელოვნებისა საერთაშორისო ცენტრი (GACC)* - საქართველო და *Lebanese Development Network (LDN)* - ლიბანი.

IED-ის წარმომადგენელისა და შეხვედრის წამყვანის ვაიია კირატზულის გულთბილი მისალმების შემდეგ, პროექტის TOGETHER მენეჯერმა, ქსანთიპი კონტოგიანმა, რომელიც

ორგანიზაცია CulturePolis წარმოადგენს, მონაწილეებს ურთიერთგაგების მემორანდუმი / პარტნიორთა შეთანხმება და სხვა ადმინისტრაციული დოკუმენტები წარუდგინა.

თავის მხრივ, ირინე სურმანიძემ, ხელოვნებისა საერთაშორისო ცენტრის მკვლევარმა, წარმოადგინა პროექტის პირველი ინტელექტუალური შედეგი - შედარებითი ანალიზის ანგარიში, ხოლო ქსანთიპი კონტოგიანმა პროექტის მეორე ინტელექტუალური შედეგზე - კულტურათა ელჩების მომზადების პროგრამაზე ისაუბრა.

შეხვედრა პროექტის შიდა რისკის შეფასების განხილვით დასრულდა.